




ფიანანსურ
ქართული
უნივერსიტეტი

ტურიზმი

ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლუმინერ ლიონ 2 -ის უნივერსიტეტი

30001-49

აღწერა



დიპლომის ტიპი: მაგისტრატურა
პროგრამა: ტურიზმი
სწავლის ხანგრძლივობა: 2 წელი
სწავლების ენა: ქართული, ფრანგული

სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“ ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმინერ ლიონ 2 - ის უნივერსიტეტის მიერ, **ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ფარგლებში.**

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ტურიზმის სფეროსთვის კადრების მომზადებას, რომელთა კვალიფიკაცია ორიენტირებული იქნება საქართველოს მდიდარი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის როლის ამაღლებაზე ქვეყნის ტურიზმის განვითარებაში.

სტუდენტები შეისწავლიან ტურიზმის სფეროში ბიზნესის ორგანიზებას, ტურიზმთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ცნობადობის ამაღლების, ასევე მათი ღირებულებების დიაგნოსტიკის და დაცვის მეთოდოლოგიას.

სტუდენტები დაეუფლებიან **ინდივიდუალური და ჯგუფური ტურების ორგანიზაციის ჩვენებს და მეთოდოლოგიას**, რომელსაც გამოიყენებენ სავალდებულო სტაჟირების დროს. გაეცნობიან სხვადასხვა საშუალებებს და მეთოდებს, რომელიც უნდა გამოიყენონ ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტების დასაგეგმად.

მიღებულ ცოდნას გაიმყარებენ სტაჟირების გავლისას, რომელიც პროგრამის დასრულებისთვის აუცილებელ ECTS ქულებად ჩაითვლება. ეს პროგრამა შემუშავებულია სტუდენტებისთვის, რომლებიც უკვე ფლობენ ფრანგულ ენას საკმარის დონეზე (მინიმუმ B1), ვინაიდან ფრანგი პროფესორები ლექციებს ფრანგულ ენაზე ჩაატარებენ.

მიზნები

- ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **მიზანია** ფრანგული უნივერსიტეტის მონაწილეობით, ორენოვანი, კულტურულ მემკვიდრეობაზე სპეციალიზირებული ტურიზმის ბიზნესის ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, **მულტიკულტურულ გარემოში მაღალი პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარის მატარებელი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.**
- კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ **ითანამშრომლონ სასტუმროებთან, ტურისტულ ცენტრებთან და შესაბამის სახელმწიფო სააგენტოებთან**, რათა შეძლონ ვიზიტორებისთვის მაღალი ხარისხის ტურების დაგეგმვა. ეს, თავის მხრივ, მოიცავს საქართველოს ისტორიის, ქართული სამზარეულოს, ღვინის და მუსიკის გაცნობას. საერთო ჯამში, ისინი შეძლებენ ტურისტებისთვის ქართული იდენტობის ჩვენებას და მათთვის ყველაზე საინტერესო გამოცდილებების გაზიარებას.
- საფრანგეთი წარმოადგენს მსოფლიოში ლიდერ ქვეყანას ტურიზმის მიმართულებით. მისი გამოცდილების გათვალისწინებით, პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ საშუალება **შეიძინონ ყველა საჭირო უნარ-ჩვევა** ევროპელი და სხვა დასავლელი ტურისტების მოთხოვნებისა და მოლოდინების შესატყვისი ტურების შესამუშავებლად.

სტრუქტურა

პირველი კურსი

პირველი და მეორე სემესტრი ჩატარდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუდენტები სწავლებას გაივლიან ბიზნესისა და ტურიზმის პროფილის ქართულენოვანი კურსებით, ასევე ფრანგული ენის გაძლიერებული სასწავლო კურსით.

მეორე კურსი

მეორე კურსის **მესამე სემესტრი** ჩატარდება ასავე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქართულენოვან მაპროფილებელ საგნებს დაემატება ლუმიერ ლიონ 2-დან მოწვეული პედაგოგების სამი სასწავლო კურსი პროფესიულ ფრანგულ ენაში, კულტურული ტურიზმის მეთოდოლოგიაში და პროექტების დიაგნოსტიკასა და შემუშავებაში.

მეოთხე სემესტრი მოიცავს ტურიზმის სპეციალიზირებული კურსების ორთვიან სწავლებას ლიონ 2-ის უნივერსიტეტში.

სასწავლო პროგრამა სრულდება სტუდენტების ტურისტულ კომპანიებში სტაჟირებით საფრანგეთში და სადიპლომო ნაშრომის დაცვით ლიონის უნივერსიტეტში ფრანგულად, ქართულენოვანი რეფერატის მომზადებით.

მოთხოვნები

- სტუდენტმა, რომელსაც სურს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა, უნდა ჩააბაროს **საერთო სამაგისტრო გამოცდები** და **პროგრამაზე მისაღები გამოცდა - „ტურიზმი“**.
- მას უნდა ჰქონდეს **მინიმუმ ბაკალავრის** ან ექვივალენტი აკადემიური ხარისხი და უნდა ფლობდეს **ფრანგულ ენას მინიმუმ B1 დონეზე**, რომელიც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით სპეციალური აკრედიტაციის მქონე ინსტიტუციისგან, როგორცაა DELF/ DALF, ან უშუალოდ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ტესტირების შედეგებით.
- სტუდენტის აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვა დამოკიდებული იქნება სამაგისტრო გამოცდებისა და შიდა გამოცდების შედეგებზე.

საფასური

- პროგრამის ორი წლის საფასური თსუ-ში შეადგენს 4 500 ლარს.
- ლიონის უნივერსიტეტში სწავლა ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის **უფასოა**. მათ მოუწევთ მხოლოდ ყოველწლიური საკომისიო გადასახადის (la Contribution Vie Etudiante et de Campus) გადახდა.

მობილობა და სტაჟირება

2022 წლის თებერვლიდან სტუდენტები სწავლას გააგრძელებენ ლიონის უნივერსიტეტის შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე. სტუდენტებს, რომლებიც წარმატებით დაასრულებენ მესამე სემესტრს ლიონის უნივერსიტეტში, შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ **სტაჟირება საფრანგეთის კანონმდებლობით დადგენილი წესით**.

სტაჟირებები რეგულირდება ფრანგული კანონმდებლობით: სტუდენტები დაცულები არიან სამმხრივი შეთანხმებით - სტუდენტს, უნივერსიტეტს (ლუმიერ ლიონ 2-ის) და კომპანიას შორის. საფრანგეთში, 2 თვეზე მეტი ხანგრძლივობის სტაჟირება **ანაზღაურებადია**. ასევე, შესაძლოა სტუდენტებმა მიიღონ Erasmus+ - ის საერთაშორისო მობილობის გრანტი. სტიპენდია შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სასწავლო მობილობის (SMS), ასევე სტაჟირებისას, ცხოვრების ხარჯების დასაფარად.



<https://fgu.ge/>

<https://www.facebook.com/frenchgeorgianuni>